ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №56

2019 წლის 28 ივნისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წინსვლაში, მერაბ თურმანიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში დასასვენებლი სახლების კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათატერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებისდამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების 23-ე მუხლის მე-1 პუნქტის, მოქალაქე მერაბ თურმანიძის ა/N61001018402 2019 წლის 24 ივნისის N9217/05 განცხადების საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წინსვლაში, მერაბ თურმანიძის ა/N61001018402 საკუთრეაბში არსებულ მიწის ნაკვეთში, ს/კ22.22.08.671. დასასვენებელი სახლების კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ტყის განვითარების ზონის ცვლილებით საცხოვრებელ ზონა 3-ით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში(მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი კანონმდებლობითდადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნადიმ ვარშანიძე